ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

დადგენილება N 11

06 მაისი 2019 წელი

დ.ხარაგაული 56-00

9 აპრილის ქუჩა #15

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N16 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20- მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი1 . შეტანილი იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N15 დადგენილებაში „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა** კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“**(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, 17/07/2014** სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.128.016161).

1. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლის მე-3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„3. კომისია იქმნება ამ დებულებით დადგენილი საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე შესაბამის მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით“.

მუხლი 2.დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**